ოქმი:**ო12.37220461**

თარიღი:**15/02/2022**

ოქმი N5

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და

სოციალურ საკითხთა კომისიის

2022 წელი, 14თებერვალი

ქ.ოზურგეთი

14.00-15.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ქეთევან ხომერიკი - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ. ჭანიშვილი, ხ. ცერცვაძე, ვლ. ხავთასი, მ. ვაშალომიძე, ხ. თავდიშვილი, დ.მდინარაძე, ნ. სარჯველაძე, ი.თუთბერიძე, ბ.მელუა, ნ.სარჯველაძე, ნ. ნადირაშვილი, ს. ქარცივაძე.

მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ნ.გოლიაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. ა(ა) ი.პ. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“-ს მიერ 2021 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

მომხს.: ქ. ხომერიკი

თანამომხს.: მ. ჭყონია

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ 2021 წლის მე-IV კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიმოხილვის შესახებ.

მომხს.: ქ. ხომერიკი

თანამომხს.: გ.მამაკაიშვილი

3. შემოსულ კორესპოდენციათა განხილვის შესახებ.

მომხს.: ქ. ხომერიკი

თანამომხს: ნ.ჭანიშვილი

სხდომის თავმჯდომარემ ქ. ხომერიკმა მოკლედ ისაუბრა ა(ა) ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“-ს მიერ 2021 წელში გაწეული მუშაობის მნიშვნელობაზე, განსაკუთრებით კოვიდპანდემიის პირობებში, ხოლო ვრცლად გაწეულ მუშაობაზე, კომისიის წევრებს ინფორმაცია მიაწოდა, თანამომხსენებელმა მ. ჭყონიამ. მისი მოხსენების შემდეგ სხდომა გადავიდა კითხვა-პასუხის რეჟიმში. კომისიის წევრმა ხ.ცერცვაძემ დასვა კითხვა: საბავშვო ბაღებში მომუშავე განსაკუთრებული საჭიროების მქონე პედაგოგებს გავლილი აქვთ თუ არა შესაბამისს სფეროს მიკუთვნებული ტრენინგ-სემინარები? მ.ჭყონიამ განმარტა, რომ ყველა პადაგოგი, ვინც ამ კუთხით მუშაობს გადამზადებულია და ჩატარებული აქვთ ტრენინგ-სემინარები. ხ.ცერცვაძემ ასევე ისაუბრა, ოზურგეთში მცხოვრებ ბოშათა ოჯახებზე და მ.ჭყონიას მადლობა გადაუხადა, ამ ოჯახებში მცხოვრებ ბავშვთა ,საბავშვო ბაღებში ინტეგრაციასა და ჩართულობაზე. ხ.ცერცვაძემ დასვა კითხვა: იგეგმება თუ არა საბავშვო ბაღებში ჰასპის პროგრამის დანერგვა? მ.ჭყონიამ განმარტა, რომ საბავშო ბაღებში, სამომავლოდ, აუცილებლად არის დაგეგმილი აღნიშნული პროგრამის დანერგვა.

საკრებულოს წევრმა, ს.ქარცივაძემ დასვა კითხვა: რამდენად არის ადაპტირებული საბავშვო ბაღის შენობები სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებისათვის? არის თუ არა მოწესრიგებული სველი წერტილები? მ.ჭყონიამ განმარტა, რომ განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისათვის ყველა ბაღში არ არის ადაპტირებული გარემო. თუმცა, გვაქვს ისეთი საბავშო ბაღებიც, სადაც ეს საკითხი მეტ-ნაკლებად მოწესრიგებული არის. საკრებულოს წევრმა, ი.თუთბერიძემ დასვა კითხვა; მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებიდან რამდენ ბაღში არის ცენტრალური გათბობის სისტემა და რამდენი საბავშვო ბაღი თბება შეშის ღუმელით? მ.ჭყონიამ განმარტა, რომ 44 საბავშვო ბაღიდან, 17 საბავშვო ბაღში არის ცენტალური გათბობის სისტემა, ხოლო დანარჩენი საბავშვო ბაღების გათბობა ხდება შეშის ღუმელებით. ასევე. ი.თუთბერიძემ დასვა კითხვა: რა თანხა არის გამოყოფილი ერთი ბავშვის კვებაზე? განემარტა, რომ სამი ლარი და ორმოცდახუთი თეთრი. საკრებულოს წევრმა, მ.ვაშალომიძემ, დასვა საკითხი N8 საბავშვო ბაღის შენობის აღდგენასთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარის ქ.ხომერიკის წინადადებით „ა (ა) ი.პ.“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“-ს მიერ 2021 წელში გაწეული მუშაობა შეფასდეს დამაკმაყოფილებლად და მიიღეს ცნობად.

მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა გ. მამაკაიშვილმა ვრცლად ისაუბრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ 2021 წლის მე-IV კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშსზე და მიიღეს ცნობად.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, ნ.ჭანიშვილმა, ისაუბრა კორესპოდენციის შესახებ, რომელიც ეხებოდა ,,ოზურგეთში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელ ქალთა ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერებას“- შინსაქმე ვაქციოთ პროფესიად. ნ. ჭანიშვილმა, მზაობა გამოთქვა აღნიშნული საკითხის მიმართ და საკრებულოს წევრებს განუცხადა, რომ უახლოეს მომავალში იგეგმება შეხვედრა ამ ქალბატონებთან . ასევე, ნ.ჭანიშვილმა აღნიშნა, რომ სწორედ ასეთ ადამიანებს დავუდგეთ უნდა გვერდით და და ხელსაქმე ვაქციოთ ბიზნესად.

გადაწყვიტეს:

1. ა(ა).ი.პ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის მიერ 2021 წელში გაწეული მუშაობა შეფასდეს დამაკმაყოფილებლად და მიღებულ იქნას ცნობად.

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ 2021 წლის მე-IV კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში მიღებულ იქნას ცნობად.

ქეთევან ხომერიკი

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი